აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

საქმიანობის ბიულეტენი

აპრილი, 2023

თემატიკა:

- ბიუროს სხდომა
- კომიტეტის სხდომა
- პლენარული სხდომა
-
- საერთაშორისო ურთიერთობები
- სხვა აქტივობები

უმაღლესი საბჭოს საქმიანობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის აქტივობები, გადაწყვეტილებები, მიღებული სამართლებრივი აქტები და სხვა ღონისძიებები აისახება საინფორმაციო ბიულეტენში, რომელიც საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიების პერიოდში ყოველთვიურად გამოქვეყნდება.

ბიუროს სხდომა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ბიუროს სხდომაზე 11 საკითხი განიხილეს

7 აპრილი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის განხილვა იწყება. გადაწყვეტილება კანონმდებლებმა ბიუროს სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა. განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.

კომიტეტებში განსახილველად ჩაეშვა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილებებს ითვალისწინებს. საკითხი სხდომაზე მისმა ერთ-ერთმა ინიციატორმა - დავით გაბაიძემ წარმოადგინა. განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.

ბიუროს გადაწყვეტილებით, პლენარულ სხდომაზე განიხილება: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ (II მოსმენა) კანონებსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტები და უმაღლესი საბჭოს კომიტეტების ანგარიშები.

რაც შეეხება უმაღლესი საბჭოს წევრების ანგარიშებს, როგორც დავით გაბაიძემ აღნიშნა, ეს საკანონმდებლო ორგანოში პირველი პრეცედენტია და ღია მმართველობის საბჭოს გეგმითაა გათვალისწინებული. საკითხი სხდომაზე ცნობად მიიღეს. ბიურომ ანალოგიური გადაწყვეტილება მიიღო უმაღლესი საბჭოს კომიტეტების 2023 წლის სამოქმედო გეგმებთან და რეგიონების ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის შესახებ საკანონმდებლო წინადადებასთან (ავტორი პაატა ურიადმყოფელი) დაკავშირებითაც.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ კანონპროექტზე, ბიურომ, წამყვან კომიტეტს განხილვის ვადა 60 დღით გაუხანგრძლივა.

საკითხთა ნაწილი სხდომაზე საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო, საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტების თავმჯდომარეებმა - ლადო მგალობლიშვილმა და მარინე გვიანიძემ წარმოადგინეს.

ბიუროს სხდომა

20 აპრილი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, დღის წესრიგით გათვალისწინებული 5 საკითხი განიხილეს.

ბიუროს გადაწყვეტილებით, კომიტეტებში განსახილველად ჩაეშვა: ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ რეგლამენტის პროექტი, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტი და პეტიცია - „პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ“ (ავტორი: ინგა გეგეშიძე). განისაზღვრა წამყვანი კომიტეტები და განხილვის ვადები.

ბიურომ განსაზღვრა 2023 წლის 20 აპრილის მორიგი პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტი, ასევე პლენარულ სხდომაზე პოლიტიკური დებატების თანმიმდევრობა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები სხდომაზე უმაღლესი საბჭოს წევრებმა - დავით გაბაიძემ და მარინე გვიანიძემ წარმოადგინეს.

კომიტეტის სხდომა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომა

10 აპრილი, 2023 წელი

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე უძღვებოდა, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ კულტურის მიმართულებით გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში მოისმინეს.

მოხსენება სხდომაზე მინისტრის მოადგილემ - აკაკი ძნელაძემ და კულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თამარ გუდავამ წარმოადგინეს. მათი განცხადებით, პანდემიის შემდგომი ორი წელი რეგიონში კულტურული აღმავლობით გამოირჩევა, რასაც საგრძნობლად გაზრდილმა ბიუჯეტმა შეუწყო ხელი.

მომხსენებლებმა ყურადღება გაამახვილეს კულტურის სფეროს ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა - ფოლკლორი, თანამედროვე, საერთაშორისო მიმართულებები, ასევე კონკურსები, ინოვაციური პროექტები და სხვა ღონისძიებები, რომლებიც უწყების მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში ხორციელდება.
კითხვა-პასუხის შემდგომ, კომიტეტმა წარმოდგენილი ანგარიში ცნობად მიიღო.

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომა

25 აპრილი, 2023 წელი

უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე უძღვებოდა, ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის ხელმძღვანელის - სულიკო თებიძის ინფორმაცია მოისმინეს გაწეული საქმიანობის შესახებ.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ფონდის უმთავრესი მიზანი სოციალურ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობაა, საქართველოს სახელმწიფო, უცხო ენების, კომპიუტერული სწავლებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებებს მოიცავს და შესაბამისი პროგრამებით ასეულობით ადამიანმა ისარგებლა.

ფონდის დირექტორმა ასევე ისაუბრა განხორციელებულ აქტივობებსა და იმ სიახლეებზე, რომელთა დანერგვაც უახლოეს მომავალში დაიწყება.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, წარმოდგენილი ანგარიში კომიტეტის წევრებმა ცნობად მიიღეს.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა ხულოს მუნიციპალიტეტში

26 აპრილი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის გასვლითი სხდომა ხულოს მუნიციპალიტეტში გაიმართა. სხდომაზე, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე ილია ვერძაძე ხელმძღვანელობდა, აჭარის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ ინფორმაცია ფინანსთა და ეკონომიკის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრებმა წარმოადგინეს.

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა - ჯაბა ფუტკარაძემ ძირითად საბიუჯეტო პარამეტრებზე, მნიშვნელოვან პროექტებსა და პროგრამებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტები წარმატებით განხორციელდა, რომელთა ნაწილზე მუშაობა წელსაც გრძელდება.

თანამომხსენებელმა - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ, სამინისტროს მიერ 2022 წელს განხორციელებულ სოციალურ პროექტებსა და მიმდინარე წელს დაგეგმილ პროექტებზე გაამახვილა ყურადღება.

მინისტრებმა უპასუხეს დეპუტატების კითხვებს, რომლის შემდეგ კომიტეტმა ერთხმად დაუჭირა მხარი საკითხის პლენარულ სხდომაზე გატანას.

სხდომაზე, პეტიცია -,,ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“ (№09-02-13-ქ/696, 09.2022წ. პეტიციის ავტორი: მაია ქათამაძე-ბათუმის განათლების განვითარებისა და დასაქმების ცენტრი), ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ილია ვერძაძემ წარმოადგინა. კომიტეტის გადაწყვეტილებით, შესაბამისი რეკომენდაცია, შემდგომი რეაგირებისთვის, გადაეგზავნება აჭარის მთავრობას.

სხდომაზე მოისმინეს და ცნობად მიიღეს ინფორმაციები - სპინალური კუნთოვანი ატროფიის, ასევე ეპილეფსიის დიაგნოსტიკის, აჭარის რეგიონში, 0-18 წლის ასაკობრივი ჯგუფის მართვა-მონიტორინგის ქვეპროგრამების შესახებ.

კომიტეტის გასვლით სხდომას ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად, ხულოს მაჟორიტარი დეპუტატი პარლამენტში ანზორ ბოლქვაძე და ადგილობრივი მოსახლეობა ესწრებოდა.

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომა

28 აპრილი, 2023 წელი

უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე, რომელსაც ამავე კომიტეტის თავმჯდომარე - ლადო მგალობლიშვილი უძღვებოდა, სსიპ ქალაქ ბათუმის № 16 საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების კლუბ „იდეატორის“ პეტიცია განიხილეს „პიროტექნიკის თავისუფალი წვდომის აკრძალვისა და ხარისხზე მკაცრი კონტროლის დაწესების შესახებ“.

საკითხი ავტორებმა თავად წარმოადგინეს. სამართლებრივი შეფასებისა და განმარტებების შემდეგ, კომიტეტმა მხარი დაუჭირა პეტიციის საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში მოსაზრებებისთვის გადაგზავნას.

რეგლამენტის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“, სხდომაზე უმაღლესი საბჭოს წევრმა - მარინე გვიანიძემ წარმოადგინა. კომიტეტმა პროექტი პლენარული სხდომისთვის მომზადებულად მიიჩნია.

სხდომაზე, საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მოიცავს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ კანონსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტებს, მისმა ერთ-ერთმა ინიციატორმა, უმაღლესი საბჭოს წევრმა - დავით გაბაიძემ წარმოადგინა. მისი მომზადება საქართველოს შესაბამის კანონმდებლობაში, ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებულმა ცვლილებებმა განაპირობა.

კომიტეტმა მხარი დაუჭირა ზემოთ აღნიშნულ კანონსა და უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესატან ცვლილებებს. საკანონმდებლო პაკეტს უმაღლესი საბჭო გამარტივებული წესით განიხილავს.

ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის სხდომა

24 აპრილი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის საბჭოსა და საკონსულტაციო ჯგუფის სხდომაზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე უძღვებოდა, საკონსულტაციო ჯგუფის განახლებული შემადგენლობის საკითხი განიხილეს.

სხდომის მონაწილეებმა ცნობად მიიღეს ინფორმაცია საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარე ორგანიზაციის - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ბათუმის ოფისისა და სამოქალაქო საბჭოების კოორდინატორის, მალხაზ ჭკადუას საკონსულტაციო ჯგუფიდან გასვლის შესახებ.

სხდომაზე, თემატურ მოკვლევასთან - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების ღია მმართველობის შეფასება“ დაკავშირებით, დასკვნა და რეკომენდაციების პროექტი უმაღლესი საბჭოსა და ღია მმართველობის საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ წარმოადგინა. მისი განცხადებით, მოკვლევის მიზანია აჭარის აღმასრულებელ ორგანოებში ღია მმართველობის კუთხით არსებული ვითარების შეფასება და ამ ტიპის მმართველობის გაძლიერება.

პროექტის წარდგენის შემდგომ, განისაზღვრა ზეპირ მოსმენებზე პასუხისმგებელი პირი და განხილვის ვადა.

შეხვედრა გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ფარგლებში

7 აპრილი, 2023 წელი

„გენდერული თანასწორობის მიმართულებით, სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში, ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა. ყველა წარმატება, რომელსაც მივაღწიეთ, ხელისუფლების, პარტნიორი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო სექტორის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგია, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ - ფატი ხალვაშმა საკანონდებლო ორგანოში, გენდერული თანასწორობის სტრატეგიის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე.

გენდერული პოლიტიკასთან მიმართებით, ადგილობრივი მმართველობისა და სოციალური ორგანიზაციების ეფექტიანი თანამშრომლობის შესახებ, ღონისძიებაზე პოლონელმა ექსპერტმა, ბათუმის საპატიო მოქალაქემ - კაროლ ფშივარამ ისაუბრა.

შეხვედრას აჭარის ყველა მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პლენარული სხდომა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

მორიგი პლენარული სხდომა და „მინისტრის საათი“ უმაღლეს საბჭოში

20 აპრილი, 2023 წელი

„მინისტრის საათის“ ფორმატში, აჭარის უმაღლესი საბჭოს მორიგ პლენარულ სხდომაზე, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს - ჯაბა ფუტკარაძეს მოუსმინეს.

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრმა აღნიშნა, რომ 2022 წელი, ეკონომიკური თვალსაზრისით, საკმაოდ წარმატებული იყო როგორც ქვეყნის, ისე რეგიონის მასშტაბით, რაც შესაბამისი ორნიშნა მაჩვენებლებითაც დასტურდება. მომხსენებლის განცხადებით, უწყების 2022 წლის ბიუჯეტი დაახლოებით 116 მილიონ ლარს შეადგენდა, მიმდინარე წლის ბიუჯეტი კი 133 მილიონს აჭარბებს. ამასთან, მთავარი ფინანსური კანონის 65 %-ზე მეტი ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მოდის.

2022 წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებების, განხორციელებული პროექტებისა და მიმდინარე წლის სამი თვის მანძილზე განხორციელებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის წარდგენის შემდგომ, ჯაბა ფუტკარაძემ უპასუხა დეპუტატების შეკითხვებს, რომელთა ნაწილი სხვადასხვა მიმართულებით საინვესტიციო პოლიტიკას, საშუალოვადიანი ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებლებს, მაღალმთიანეთში სტიქიით დაზარალებულთა კომპენსაციებით უზრუნველყოფისა და რეგიონის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან სხვა საკითხებს მოიცავდა.

ცალკეული დეპუტატების გამოსვლებისა და შეფასებების შემდგომ, სხდომა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ შეაჯამა.

სამუშაო შეხვედრები, სხვა აქტივობები

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხულოს რაიონული განყოფილების თანამშრომლების დაჯილდოება

5 აპრილი, 2023 წელი

„შეუძლებელია არ დააფასო იმ ადამიანთა შრომა, თავდადება, რომლებიც ურთულესი მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, დიდთოვლობისას, მეწყრული პროცესებისას მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან თავის საქმეს და ზრუნავენ მოსახლეობის უსაფრთხოებაზე,- განაცხადა მაღალმთიანი აჭარისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა აჭარის უმაღლეს საბჭოში - ფრიდონ ფუტკარაძემ აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ხულოს რაიონული განყოფილების თანამშრომლების დაჯილდოების ღონისძიებაზე.

„მუნიციპალიტეტში დიდთოვლობის შედეგად წარმოშობილი გამოწვევებისას გამოჩენილი მაღალი პროფესიონალიზმის, თავდაუზოგავი შრომისა და მამაცობისთვის“ მადლობის სიგელები, 38 მეგზევეს, უმაღლესი საბჭოს წევრმა, ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ - რენარ ბოლქვაძემ გადასცეს.

9 აპრილს, ბათუმში, პატივი მიაგეს ქვეყნის თავისუფლებისათვის დაღუპულებს

9 აპრილი, 2023 წელი

9 აპრილს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს, ბათუმში პატივი მიაგეს ქვეყნის თავისუფლებისათვის დაღუპულებს.

აჭარის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობის თავმჯდომარეებმა - დავით გაბაიძემ, თორნიკე რიჟვაძემ, უმაღლესი საბჭოს წევრებმა, ადგილობრივი ხელისუფლების, საზოგადოების, სტუდენტი-ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა და ვეტერანებმა გმირთა ხეივანში ყვავილებით შეამკეს 9 აპრილის მემორიალი და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს 1989 წლის 9 აპრილს გმირულად დაღუპულთა ხსოვნას.

34 წლის წინ, ზუსტად ამ დღეს, ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ახალი და უმნიშვნელოვანესი ფურცელი ჩაიწერა. 9 აპრილის სისხლიანმა მოვლენებმა 21 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

1991 წელს, ტრაგედიიდან 2 წლისთავზე, საქართველოს ხელისუფლებამ 9 აპრილი დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ გამოაცხადა.

9 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართა. მაღალმთიანი აჭარისა და ხელვაჩაურის მაჟორიტარმა დეპუტატმა უმაღლეს საბჭოში - ფრიდონ ფუტკარაძემ, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, პატივი მიაგო 9 აპრილის გმირებს.

სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შეხვედრა

11 აპრილი, 2023 წელი

„როგორც კანონმდებელი, მზად ვარ, მხარი დავუჭირო კომისიის ყველა მნიშვნელოვან საკანონმდებლო ინიციატივას, რომელთა მიზანი ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობის გაუმჯობესებაა“, - აღნიშნა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - ილია ვერძაძემ სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის შეხვედრაზე.

ძირითადი საკითხების განხილვამდე, შეხვედრის მონაწილეებმა კენჭი უყარეს კომისიის სამუშაო ჯგუფის განახლებულ შემადგენლობას და იმსჯელეს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: შვებულების გაანგარიშების წესი, ნორმირებული სამუშაო დროის განსაზღვრა და გამოსაცდელ ვადასთან დაკავშირებული ცვლილებები კანონმდებლობაში. კომისიამ განიხილა და დაამტკიცა 2023-2025 წლების სამოქმედო გეგმა.

შეხვედრა, რომელიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მხარდაჭერით გაიმართა, აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა, სოციალური პარტნიორობის სამმხრივი კომისიის თანათავმჯდომარემ - ნინო ნიჟარაძემ გახსნა. მონაწილეებს მიესალმნენ: საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აჭარის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, დავით ჭყონია და პროფესიული კავშირების აჭარის რესპუბლიკური გაერთიანების თავმჯდომარე, ზურაბ ცეცხლაძე.

აჭარის უმაღლეს საბჭოში პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს უმასპინძლეს

12 აპრილი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე - დავით გაბაიძე პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარეს, ელისო ბოლქვაძეს შეხვდა. საუბარი შეეხო სახელოვნებო განათლების რეფორმის მიმდინარეობასა და რეგიონში ამ მხრივ არსებულ ვითარებას.

სახელოვნებო განათლების რეფორმის მეორე ეტაპს დაეთმო აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტში გამართული შეხვედრაც, რომელსაც კომიტეტის თავმჯდომარე - დავით ბაციკაძე უძღვებოდა.

ყურადღება გამახვილდა საკანონმდებლო კუთხით მხარდაჭერაზე, ასევე იმ პროგრამებსა და პროექტებზე, რომლებიც აჭარის მუნიციპალიტეტებში სახელოვნებო მიმართულების გაძლიერება-ხელშეწყობას ითვალისწინებს.

შეხვედრაზე იმსჯელეს შშმ პირთათვის ინკლუზიური პროგრამების მიმდინარეობაზე, სკოლის გარეთ და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელოვნებო განათლების მდგომარეობის მონიტორინგზე. როგორც აღინიშნა, პარლამენტის დარგორბივი კომიტეტი, ამ მიზნით თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნას გეგმავს.

აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს IV საერთაშორისო სემინარი

18 აპრილი, 2023 წელი

ჩვენისთანა დიდი ისტორიის მქონე ქვეყნისთვის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია“, - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ ბათუმში, აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს IV საერთაშორისო სემინარის გახსნის ღონისძიებაზე.

სემინარი - „შავიზღვისპირეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები - პრობლემები და პერსპექტივები“, 2 სესიად გაიმართა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით გატარებულ ღონისძიებებს, კვლევებსა და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს დაეთმო.

სემინარის მონაწილეებს მიესალმნენ და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნების მნიშვნელობაზე ისაუბრეს: აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ - თორნიკე რიჟვაძემ, უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ - დავით ბაციკაძემ, განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა - მაია ხაჯიშვილმა, სააგენტოს ხელმძღვანელმა ზაურ ახვლედიანმა.

ღონისძიება, სიმბოლურად, ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღეს გაიმართა.

უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებში პირველი ბავშვი დაიბადა

22 აპრილი, 2023 წელი

"აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებში, 46 წლის ციური ნაგერვაძეს, წლების შემდეგ პირველი შვილი შეეძინა. იმედია, ამ ოჯახის სიხარულს კიდევ ბევრი გაიზიარებს და მართას, სხვა ახალშობილებიც შეემატებიან," - განაცხადა აჭარის უმაღლესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ილია ვერძაძემ, რომელმაც ახალშობილის დედას ნანატრი შვილის დაბადება აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან - თორნიკე რიჟვაძესთან და ჯანდაცვის მინისტრთან - ნინო ნიჟარაძესთან ერთად მიულოცა.

პროგრამას - "უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო, რეგიონის მთავრობის მხარდაჭერით, 2022 წლიდან წარმატებით ახორციელებს და მისი ბიუჯეტი წელს უკვე 700 000 ლარია. გარდა ამისა, ილია ვერძაძის განცხადებით, გაიზარდა დასაფინანსებელ ბენეფიციართა სარეიტინგო ქულაც. უშვილო წყვილების სამედიცინო მომსახურება ფინანსდება 80%, 90% და 100%-ით. პროგრამით სარგებლობენ აჭარის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 300 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე, სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში კანონიერ ქორწინებაში მყოფი უშვილო წყვილები, რომელთაც ესაჭიროებათ შესაბამისი რეპროდუქციული სამედიცინო დახმარება.

საერთაშორისო ურთიერთობები

დავით გაბაიძემ პოლონეთის ქვემო სილეზიის საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლებს უმასპინძლა

28 აპრილი, 2023 წელი

აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ - დავით გაბაიძემ პოლონეთის ქვემო სილეზიის საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენლებს უმასპინძლა.

სამუშაო შეხვედრაზე, საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ ქალაქ ვროცლავის საქალაქო საბჭოსა და საერთაშორისო ურთიერთობათა ოფისის წევრებს მადლობა გადაუხადა ორ ქვეყანასა და მის ცალკეულ რეგიონებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებისთვის.

შეხვედრაზე, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე - ტიტე არაშიძე, საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - ლადო მგალობლიშვილი, აპარატის ხელმძღვანელი - ზურაბ ჭურკვეიძე ესწრებოდნენ, ყურადღება გამახვილდა საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე.

პოლონელი სტუმრები, რომელთა შორის ბათუმის საპატიო მოქალაქე - კაროლ ფშივარაა, ხვალ, „ბათუმობის“ დღესასწაულს დაესწრებიან, რომელიც ბათუმის თვითმმართველ ქალაქად გამოცხადების 135-ე წლისთავს ეძღვნება.

თვის სხვა აქტივობები, რომლებშიც უმაღლესი საბჭოს წევრები მონაწილეობდნენ:

- სააღდგომო ლიტურგია ყოვლადწმიდა სამების ეკლესიაში - 15.04.2023
- ხულოში 1998 წლის 18 აპრილს დაღუპულები გაიხსენეს-18.04.2023
- მუსლიმანებს რამაზან ბაირამი მიულოცეს - 21.04.2023
- კირნათის საჯარო სკოლის მოსწავლეები უმაღლეს საბჭოში - 21.04.2023
- 22 აპრილი - დედამიწის დღე - 22.04.2023
- საინფორმაციო შეხვედრა - „დასაქმების ფორუმი 2023“ -ის ფარგლებში გაიმართა - 26.04.2023
- ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას უფასო სამედიცინო კვლევები ჩაუტარდა - 26.04.2023
- ბათუმში ''დასაქმების ფორუმი 2023'' გაიმართა - 27.04.2023
- ბათუმში ევროპის იმუნიზაციის კვირეული შეაჯამეს - 28.04.2023
- დავით გაბაიძე სასწავლო უნივერსიტეტის - ,,ალტერბრიჯის" დამფუძნებელსა და რექტორს, ნათია გოცაძეს შეხვდა - 28.04.2023
- "ბათუმობა- 2023" - 29.042023

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

sca.ge

chaerte.sca.ge